საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

სახაზინო სამსახურის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში

2018 წელი

- ✓ სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა გადასახდელების აღრიცხვისათვის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების (ინვოისების) მოდული, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის ხარჯების დარიცხვის და საკასო ოპერაციების ბუღალტრული გატარებების ავტომატიზაციას და ასახვას ხაზინის მთავარ წიგნში.
- ✓ საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2018 წელს დასანერგი სტანდარტების ანალიზის საფუძველზე მომზადდა აღრიცხვის და ანგარიშგების არსებულ მეთოდოლოგიაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 21 მაისის №186 ბრძანებით. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 2018 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდება აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სახაზინო სამსახურის მიერ ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით 2017--2018 წლებში დანერგილ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში გადამზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის საერთაშორისო მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები IPSAS სტანდარტებში. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, რომელიც ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, განთავსებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე www.treasury.ge. ამასთან, თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, სახაზინო სამსახურსა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას შორის 2017 წლის 8 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის და აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები, სახაზინო სამსახურის წარმომადგენლებსა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის წევრებს შორის, სადაც განხილული იყო აღრიცხვის და ანგარიშგების პრობლემატური საკითხები. გარდა ამისა, GIZ-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტმა შეისწავლა აღრიცხვის და

ანგარიშგების კუთხით ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში არსებული სიტუაცია და მოამზადა IPSAS სტანდარტების დანერგვისათვის დეტალური გზამკვლევი. გარდა ამისა, GIZ-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა IPSAS სტანდარტებში ცნობიერების ამაღლების სემინარი, რომლის ფარგლებშიც IPSAS სტანდარტების ზოგად მოთხოვნებთან ერთად განხილული იყო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ადგილობრივი ბიუჯეტების დონეზე IPSAS სტანდარტების დანერგვის თვალსაზრისით, ასევე, IPSAS სტანდარტების დანერგვის დეტალური გზამკვლევით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და ხაზინის წარმომადგენლების მონაწილეობით მოეწყო სამუშაო ვიზიტი ესტონეთში, ქ. ტალინში, ადგილობრივი თვითმმართველობების აღრიცხვის და ანგარიშგების საკითხებზე. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დასანერგად, შერჩეულ იქნა 11 საპილოტე მუნიციპალიტეტი. საპილოტე მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავდა IPSAS სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგია, ადგილობრივი ბიუჯეტების სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებებს საპილოტე ერთეულები მოამზადებენ 2019 წელს.

- ✓ საჯარო ფინანსების წარმატებული რეფორმის ფარგლებში დღის წესრიგში დგას რეფორმის მნიშვნელოვანი მიმართულება, რაც გულისხმობს სახელმწიფო ხაზინის ფულადი სახსრების მართვის ეფექტიანობის ზრდას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხაზინა ახორციელებს ფულადი სახსრების განთავსებას კომერციულ ბანკებში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის“ შესაბამისად. 2018 წლის განმავლობაში ფულადი სახსრების ეფექტური პროგნოზირებისა და მართვის მიზნებისათვის, განხორციელდა ფულადი სახსრების ნაშთების, შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ სხვადასხვა რეპორტების მომზადება/დახვეწა; კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა 2018 წლის შესაბამისი თვეების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება; ფუნქციონალურად დაიხვეწა ფულადი სახსრების განთავსებისათვის საჭირო ფასიანი ქაღალდების დაჯავშნის ელექტრონული მოდული, რომელიც ლიკვიდობის მართვის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს. გარდა ამისა, წლის განმავლობაში რამდენჯერმე შედგა შეხვედრა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და კომპანია ბლუმბერგის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრის ფარგლებში ბლუმბერგის წარმომადგენლებმა სახაზინო სამსახურის წარმომადგენლებს გააცნეს ბლუმბერგის სისტემის სხვადასხვა ფუნქციონალი, ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის საკითხებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ნოემბრის თვეში ხაზინის წარმომადგენლების მონაწილეობით მოეწყო სამუშაო ვიზიტი ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროში, ფულადი სახსრების პროგნოზირების, ანგარიშსწორებისა, გარიგებების, აღრიცხვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, კონტროლისა და რისკების მართვის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით. 2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინამ ბლუმბერგის სისტემაში გამართა სულ 68 აუქციონი.

- ✓ 2018 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგებების წარმოების დახვეწა და სრულყოფა. დღეისათვის სახელმწიფო ხაზინა აწარმოებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვას, ანგარიშგებას და ანგარიშსწორებას, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის და სახელმწიფო ხაზინის სხვა სალარე და სავალუტო ანგარიშების მართვას, ოპერირებას და აღრიცხვას, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დაბრუნებას, აღრიცხვას და ანგარიშგებას, სახელმწიფო ხაზინის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხების აღრიცხვას, მართვას და ანგარიშგებას და სხვა. ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად მუდმივად ხდება აღრიცხვისა და ანგარიშსწორების პროცესის საოპერაციო ციკლის სრულყოფა და ოპერატიულობის გაუმჯობესება, ანგარიშგებების ფორმების დახვეწა და ახალი, უფრო ინფორმატიული ანალიტიკური ფორმების შემუშავება.